



შპს „თიბისი ჰოლდინგი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023

შპს „თიბისი ჰოლდინგი“

საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მარჯანიშვილის ქ., №6

შპს „თიბისი ჰოლდინგი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
განმარტებითი შენიშვნები	6
1. ჯგუფი და მისი ძირითადი საქმიანობა	6
2. საქართველოს ბიზნეს გარემო	6
3. მომზადების საფუძველი	7
4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	7
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	10
7. ძირითადი საშუალებები	10
8. მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	10
9. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	10
10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11
11. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11
12. კაპიტალი	11
13. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11
14. საპროცენტო ხარჯები/ საპროცენტო შემოსავალი	11
15. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი)	11
16. ფინანსური რისკის მართვა	12
17. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები	13
18. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ	13
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	13

შპს „თიბისი ჰოლდინგი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	138,730	213,337
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	795,119	793,588
საგადასახადო აქტივები		73,609	75,838
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,007,457	1,082,763
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	86,757	128,499
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	8	214,334,721	189,662,204
წილობრივი მონაწილეობა სხვა საწარმოში	9	8,731,408	8,731,408
სულ გრძელვადიანი აქტივები		223,152,886	198,522,111
სულ აქტივები		224,160,343	199,604,874
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	56,068	61,502
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		56,068	61,502
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	195,048,125	171,372,713
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		195,048,125	171,372,713
სულ ვალდებულებები		195,104,193	171,434,215
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		27,973,486	27,973,486
დაგროვილი მოგება/ზარალი		(556,189)	(1,090,917)
არამაკონტროლებელი წილი		1,638,853	1,288,090
სულ საკუთარი კაპიტალი	12	29,056,151	28,170,659
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		224,160,343	199,604,874

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 ოქტომბერს



ხელმოწერა

ლევან ახვლედიანი
გენერალური დირექტორი

შპს „თიბისი ჰოლდინგი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	მენიშვნა	2023	2022
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი		169	-
საკონსულტაციო ხარჯები		(16,588)	(13,955)
ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხელფასების ხარჯი		(731,543)	(932,727)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(40,602)	(41,054)
ბანკის საკომისიო ხარჯი		(5,367)	(4,048)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(120,514)	(105,896)
სულ საოპერაციო ხარჯები		(914,613)	(1,097,679)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(914,443)	(1,097,679)
საპროცენტო შემოსავალი	14	16,132,565	15,440,370
საპროცენტო ხარჯი	14	(13,355,862)	(12,752,004)
წილის გაყიდვიდან წარმოქმნილი ზარალი		(35,100)	-
კურსთამორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი)	15	(942,127)	(94,161)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები)		458	-
მოგება/(ზარალი), მოგების გადასახადის ხარჯამდე		885,491	1,496,527
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		885,491	1,496,527
მოგება რომელიც მიეკუთვნება:			
მშობელი საწარმოს მფლობელებს:		534,375	1,061,700
არამაკონტროლებელი წილს:		351,116	434,827
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		885,491	1,496,527

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 ოქტომბერს



ხელმოწერა

ლევან ახვლედიანი
გენერალური დირექტორი

შპს „თიბისი ჰოლდინგი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მ/(ზ)	არამაკონტ. წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	27,973,486	(2,152,616)	853,263	26,674,133
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	1,061,700	-	1,061,700
გადახდილი დივიდენდები	-	-	-	-
არამაკონტროლებელი წილი	-	-	434,827	434,827
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	27,973,486	(1,090,917)	1,288,090	28,170,660
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	534,375	-	534,375
გადახდილი დივიდენდები	-	-	-	-
არამაკონტროლებელი წილი	-	-	351,116	351,116
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	27,973,486	(556,542)	1,639,207	29,056,151

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 ოქტომბერს



ხელმოწერა

ლევან ახვლედიანი
გენერალური დირექტორი

შპს „თიბისი ჰოლდინგი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ღარში)

განმარტებითი მენიშვნები

1. ჯგუფი და მისი ძირითადი საქმიანობა

შპს "თიბისი ჰოლდინგი" (საქართველო) საერთაშორისო საინვესტიციო და დეველოპერული კომპანიაა, რომლის პორტფელური კომპანიები წარმატებით ოპერირებენ სხვადასხვა ბიზნეს სექტორში. მათ შორისაა ფინანსური მომსახურება, უძრავი ქონება, განათლება, სოფლის მეურნეობა.

შპს "თიბისი ჰოლდინგი" (ს/კ 404468884) დარეგისტრირდა 2014 წლის 20 მარტს თბილისში, საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, მარჯანიშვილის ქ. N6.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს "თიბისი ჰოლდინგის"-ს 100%-იანი წილის მფლობელი არის მამუკა ხაზარაძე, ხოლო გენერალური დირექტორის სახით წარმოდგენილია ლევან ახვლედიანი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს თიბისი ჰოლდინგი ფლობს წილებს სხვადასხვა კომპანიებში:

კომპანია	წილი %
შპს ემ ქეი სი (404521175)	100.00%
შპს თიბისიეიჩ ანაკლია (402032019)	70.00%
შპს თიბისიეიჩ დეველოპმენტი (402012610)	100.00%
შპს ბათუმი მოლ დეველოპმენტი (404471228)	100.00%
სს ეი ეი თი მენ კო (404484884)	66.66%
სს ეგრისის განვითარების კომპანია (402040037)	80.42%

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს თიბისი ჰოლდინგში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 15 თანამშრომელს.

2. საქართველოს ბიზნეს გარემო

ბიზნეს გარემო წარმოადგენს სოციალურ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციის გადაწყვეტილებებზე, სტრატეგიებზე, პროცესებსა და საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს. ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემო განაპირობებს ეკონომიკის ზრდის და კერძო სექტორის განვითარების ტემპს. საქართველოში ჯერ კიდევ განიცდის ცვლილებებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში.

როგორც განვითარებად ეკონომიკაში, საქართველოში ბიზნესის და რეგულირებადი ინფრასტრუქტურის დონე უფრო დაბალია, ვიდრე განვითარებულ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკებში. გარდა ამისა, ეკონომიკური ფაქტორები განაგრძობს ოპერაციულ შეზღუდვას ფინანსურ ბაზარზე, რომლებმაც, შეიძლება ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სამართლიანად ვერ ასახონ.

სამომავლო ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ბიზნეს გარემოს მიმზიდველობა უცხოელი ინვესტორებისთვის. მსხვილი ფინანსური რესურსების მოზიდვისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია სტაბილურობის უზრუნველყოფა. რამდენადაც დაბალი არ უნდა იყოს გადასახადების განაკვეთი, თუ ქვეყანაში არ იქნება სტაბილური საკანონმდებლო და პოლიტიკური გარემო, შეუძლებელია ვისაუბროთ მიმზიდველ ბიზნეს გარემოზე.

მსოფლიოში არსებული კრიზისის ფონზე, შესაძლოა მნიშვნელოვნად დაზარალებს როგორც კომპანია, ასევე ქვეყნის ეკონომიკაც. მოსალოდნელი ეფექტი არის გადახდისუნარობა კრედიტორების მიმართ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის რეპუტაციაზე და პრობლემური გახადოს დამატებითი ფონდების (სახსრების) მოძიება. მითუმეტეს, როდესაც გაურკვევლობა გულისხმობს მსგავს ცვალებადობას, კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია შეაფასოს, თუ როგორ აისახება ზემოთ ხსენებული გავლენები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებზე.

შესაბამისად, კომპანიის ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს კორექტირებების ეფექტს, რომელიც შესაძლოა მიჩნეულია, როგორც აუცილებლობა, იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ აღწერილი ფაქტორების ეფექტი გახდებოდა შესამჩნევად და საიმედოდ შეფასებადი საქართველოში.

3. მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ჯგუფში შემავალი კომპანიები საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებენ საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები დაყოფილია და წარმოდგენილია როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი“).

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები - კომპანიები, რომლებშიც ჯგუფი ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების ნახევარზე მეტს ან სხვაგვარად აკონტროლებს მათ ფინანსურ და საოპერაციო საქმიანობას და იღებს სარგებელს მათი საქმიანობიდან, კონსოლიდირებულია.

შვილობილი კომპანიების შეძენის აღრიცხვისთვის გამოიყენება აღრიცხვის შესყიდვის მეთოდი. ბიზნეს გაერთიანებაში იდენტიფიცირებადი შეძენილი აქტივები, ვალდებულებები, და პირობითი ვალდებულებების გაზომვა ხდება შეძენის თარიღისთვის არსებული მათი საბაზრო ღირებულებით, მიუხედავად არასაკონტროლო პაკეტის ოდენობისა.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

	12/31/2023	12/31/2022
აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ევრო	2.9753	2.8844
ბრიტანული ფუნტი	3.4228	3.2581

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან · აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.
ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.
ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:
- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.
ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

კატეგორია	წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალება	5-15

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება მოხდება მოგებაში ან ზარალში, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიან

ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს, ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელმწიფოებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელმეორეულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულებდა, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალი.

საგადასახადო აქტივები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზზე. შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების, ასევე შემოსავლებისა და ხარჯების, ურთიერთჩათვლა ხორციელდება, და ფინანსურ ანგარიშგებებში აისახება წმინდა ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის კანონიერი უფლება და ამის განხორციელების ერთდროული განზრახვა.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოღინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება

საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	102,584	67,388
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	36,145	145,949
სულ	138,730	213,337

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
სავაჭრო მოთხოვნები	722,382	733,458
გაცემული ავანსები	53,964	53,963
მოთხოვნები საწარმოო პერსონალის მიმართ	-	2,816
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	18,772	3,350
სულ	795,119	793,588

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების უმეტეს ნაწილს ფლობს შპს ბათუმი მოლ დეველოპმენტი.

	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
შპს ემ ქეი სი (404521175)	-	-
შპს ბათუმი მოლ დეველოპმენტი (404471228)	86,757	127,359
შპს ნიუ სოლარ ენერჯი ტექნოლოჯის (405575211)	-	1,140
	86,757	128,499

8. მოთხოვნები გაცემული სესხებიდან

შპს თიბისი ჰოლდინგის მიერ სესხების ძირითადი ნაწილი გაცემულია თავის შვილობილ კომპანიებზე და ეს თანხები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია.

	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	214,334,721	189,662,204
სულ	214,334,721	189,662,204
ჯგუფის შიგნით გაცემული სესხები	49,889,174	44,866,054
ჯგუფის შიგნით მიღებული სესხები	(49,889,174)	(44,866,054)
სულ	-	-

9. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში

შპს თიბისი ჰოლდინგს აქვს ინვესტიციები ისევე როგორც შვილობილ კომპანიებში, ასევე სხვა გარე საწარმოებშიც. შვილობილ კომპანიებში ინვესტირებული თანხები კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია.

<u>შვილობილი საწარმოები</u>	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
შპს ემ ქეი სი (404521175)	3	3
შპს თიბისიეიჩ ანაკლია (402032019)	1,896,492	1,896,492
სს ეი ეი თი მენ კო (404484884)	120,923	120,923
სს ეგრისის განვითარების კომპანია (402040037)	31,392	31,392
შპს ნიუ სოლარ ენერჯი ტექნოლოჯის (405575211)	-	15,000
სულ	2,048,810	2,063,810
<u>სხვა გარე საწარმოები</u>	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
წილობრივი მონაწილეობა სხვა გარე საწარმოებში	8,731,408	8,731,408
სულ	8,731,408	8,731,408

10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
სავაჭრო ვალდებულებები	41,827	44,578
საპენსიო შენატანი	14,241	14,241
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	2,683
სულ	56,068	61,502

11. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

ვალდებულებების ნაწილი შედგება როგორც მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებებისგან, ასევე გრძელვადიანი სესხებისგან რომელთა საპროცენტო ხარჯების ასახვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება შესაბამის პერიოდებში.

	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები	52,232,870	48,470,670
სხვა ნასესხები თანხები	142,815,255	122,902,043
სულ	195,048,125	171,372,713

12. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) ხორციელდება კომპანიის პარტნიორთა მიერ. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

13. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	<u>2023</u>	<u>2022</u>
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(21,277)	(17,384)
საპენსიო გადასახადის ხარჯი	(9,885)	(14,604)
იურიდიული მომსახურება	(531)	(439)
დაზღვევის ხარჯი	(24,917)	(27,607)
რეკლამის ხარჯები	-	-
კომუნიკაციის ხარჯები	(9,279)	(15,413)
ლიზინგის ხარჯი	(38,303)	(19,474)
მივლინების ხარჯი	(5,652)	(1,689)
საოფისე ხარჯი	(2,340)	(2,536)
სხვა საგადასახადო ხარჯი	-	(2,254)
სხვა ხარჯები	(6,560)	(4,496)
სულ	(118,744)	(105,896)

14. საპროცენტო ხარჯები/ საპროცენტო შემოსავალი

ჯგუფის შიგნით მიღებული საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო ხარჯებთან ელიმინირებულია.

15. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი)

	<u>2023</u>	<u>2022</u>
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	11,584,162	33,369,429
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი	(12,526,288)	(33,463,589)
სულ	(942,127)	(94,161)

16. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიას აქვს ფინანსური რისკი, რომელიც შედგება საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკებისგან.

კომპანიას ამ ეტაპისთვის არ შეუმუშავებია საკუთარი რისკის მართვის პოლიტიკა ფინანსური, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მონიტორინგის მიზნით.

საკრედიტო რისკი

კომპანია იღებს საკრედიტო რისკს, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. ანგარიშგების პერიოდებისთვის, მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ განპირობებულია კომპანიის ბანკებსა და ფინანსურ დაწესებულებებში განთავსებული ფულადი სახსრებითა და მათი ეკვივალენტებით და დებიტორული დავალიანებით. კონტრაპენტებთან განხორციელებულმა სხვა გარიგებებმა შესაძლებელია ასევე წარმოშვას ფინანსური აქტივები.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია

კომპანიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ.

საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიცია (ა) უცხოურ ვალუტაში და (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთაგან ყველა დამოკიდებულია ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას არ ახდენს ბაზარზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთების ღონეების მერყეობა. კომპანიას არ აქვს ნასესხები სახსრები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კომპანია ხასიათდება ყოველდღიური მოთხოვნით ხელმისაწვდომ ფულადი სახსრების რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკვირდება ყოველთვიურ პროგნოზებს კომპანიის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით. კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსური რესურსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება კრედიტორული დავალიანებისგან და კაპიტალისგან.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში ასახული თანხები წარმოადგენს სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, რაც მოიცავს კრედიტორულ დავალიანებას. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები შეიძლება განსხვავდებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოდენობებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებული თანხები ემყარება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მონაცემებს.

როდესაც კრედიტორული დავალიანების ოდენობა ფიქსირებული არ არის, გასამჟღავნებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების შესაბამისად. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

17. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით:

- (i) 1-ლი დონე - იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე
- (ii) მე-2 დონე - ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა
- (iii) მე-3 დონე - ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ე.ი. არადაკვირვებადი ამოსავალი მონაცემები).

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით შეფასებისას ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა დაკვირვებად ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც მნიშვნელოვან კორექტირებებს საჭიროებენ, აღნიშნული შეფასება მე-3 დონეს განეკუთვნება. შეფასების ამოსავალი მონაცემების მნიშვნელობა ფასდება მთლიანად სამართლიანი ღირებულებით შეფასებასთან მიმართებით.

18. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამჟღავნებას საჭიროებს არ მომხდარა.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2024 წლის 31 ოქტომბერს.